ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2022 წლის 19 ივლისი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 25/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.132.016230) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„11. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 19. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები.“.

მუხლი 2

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016355) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**დანართი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5060
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3600
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3400
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2900

5	**საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე**	3	2900
6	**საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე**	10	2000
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი		
7	პირველადი სტრუქტურული ერთეულის – აპარატის უფროსი	1	3190
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შესყიდვების საკითხებში)	1	1540
9	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბუღალტრო საკითხებში)	1	1430
10	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის საკითხებში)	1	1540
11	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (გენდერული თანასწორობის საკითხებში)	1	1540
12	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)	1	1540
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია)	1	1540
14	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია)	1	1540
15	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია)	1	1540
16	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია)	1	1540
	იურიდიული განყოფილება		
17	მეორადი სტრუქტურული ერთეულის – განყოფილების უფროსი	1	2200
18	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – იურისტი	2	1540
19	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – იურისტი	1	1430
	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება		
20	მეორადი სტრუქტურული ერთეულის – განყოფილების უფროსი	1	2200
21	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1540
22	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1430
	მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება		
23	მეორადი სტრუქტურული ერთეულის – განყოფილების უფროსი	1	2200
24	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1540

25	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1430
	ჯამი	**46**	

.“.

მუხლი 3

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016543) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) საკრებულოსა და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა საპატიო მიზეზით გაცდენილად ეთვლება, თუ საკრებულოს/კომისიის სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ სხდომამდე წერილობით, ხოლო წერილობით შეტყობინების შეუძლებლობის შემთხვევაში ზეპირად ინფორმირებული იქნება კომისიის/საკრებულოს თავმჯდომარე, რასთან დაკავშირებითაც საკრებულოს წევრმა საკრებულოს აპარატში ყოველი თვის არაუადრეს 1 და არაუგვიანეს 2 რიცხვისა წერილობით უნდა წარადგინოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“.

მუხლი 4

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკენბრის №77 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 04/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016425) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 11 და არაუმეტეს 35 წევრისაგან.

4. საბჭოს შემადგენლობაში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები.“.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**